



აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის სოფლის
მეურნეობის სამინისტრო



პროგრამა - „0706 სოფლის
მეურნეობის განვითარება
მაღალტექნოლოგიური
ტექნოლოგიების დანერგვის
გზით“



ქვეპროგრამის - „070618 სასოფლო-
სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო
მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“
განხორციელების წესი

პროგრამების მართვის დეპარტამენტი

აგრარული პროგრამების დაგეგმვისა და
განხორციელების განყოფილება



სარჩევი

1.	წესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება.....	3
2.	ზოგადი ინფორმაცია ქვეპროგრამის შესახებ	4
2.1.	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	5
2.2.	მიზნები და ამოცანები	6
2.3.	პრიორიტეტული მიმართულებები	7
3.	ქვეპროგრამის ბენეფიციარები.....	11
3.1.	ქვეპროგრამაში მონაწილეობა.....	12
3.2.	ქვეპროგრამის ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები	13
3.3.	წარმოსადგენი დოკუმენტაცია	15
4.	ქვეპროგრამის განხორციელების პროცედურები.....	16
4.1.	ქვეპროგრამის განხორციელების ეტაპები.....	17
4.1.1.	ქვეპროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება	18
4.1.2.	ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველთა განაცხადების მიღება	18
4.1.3.	ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის ფორმირება.....	19
4.1.4.	საპროექტო განაცხადის პირველადი შეფასება	19
4.1.4.1.	საპროექტო განაცხადების შესაბამისობა წესის მოთხოვნებთან.....	19
4.1.4.2.	მონიტორინგი პროექტის განხორციელების ადგილზე	20
4.1.5.	ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ საპროექტო განაცხადების განხილვა. 20	
4.1.6.	ბენეფიციართა ერთიანი სიის გასაჩივრება.....	21
4.1.7.	ხელშეკრულებების გაფორმება.....	21
4.1.8.	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი.. 23	
4.1.8.1.	საქონლის/ მომსახურების მიწოდება.....	24
4.1.8.2.	მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება (სუბსიდირება).....	24
5.	ანგარიშგება	24
6.	ქვეპროგრამის ბენეფიციართა ტექნიკური მხარდაჭერა (ექსტენცია).....	25
7.	ქვეპროგრამის შედეგებზე პერიოდული მონიტორინგი.....	25
8.	დანართები.....	25



1. წესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1. **წესი** - ქვეპროგრამის - „070618 სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ განხორციელების წესი;
- 1.2. **სამინისტრო** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- 1.3. **მინისტრი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი;
- 1.4. **პროგრამა** - 0706 სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით;
- 1.5. **ქვეპროგრამა** - 070618 სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა;
- 1.6. **განმცხადებელი**:
 - 1.6.1. **ფიზიკური პირ(ებ)ი** - საქართველოს მოქალაქე (სრულწლოვანი - 18 წელს მიღწეული), მათ შორის საოჯახო მეურნეობ(ებ)ის სუბიექტები;
 - 1.6.2. **იურიდიული პირ(ებ)ი** - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელსაც „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარება, გარდა სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების, წევრობაზე დაფუძნებული და წილობრივი მონაწილეობით შექმნილი პირებისა;
 - 1.6.3. **ამხანაგობა** - საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფიზიკურ პირთა ერთობლივი საქმიანობა.
- 1.7. **განაცხადი** - წერილობითი დოკუმენტები, რომელიც დეტალურად აღწერს პროექტის მიმდინარე მდგომარეობას, მიზნებს და ამ მიზნების მიღწევისთვის აუცილებელ ქმედებებს;
- 1.8. **ბენეფიციარი** - ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ შერჩეული ქვეპროგრამით მოსარგებლე პირი;



- 1.9. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება** - 1.6 პუნქტით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა);
- 1.10. საოჯახო მეურნეობა** - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობის, გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტების ან/და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას;
- 1.11. მიმწოდებელი¹ - მეწარმე ფიზიკური (მ.შ. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირ(ებ)ი) ან/და იურიდიული პირ(ებ)ი, ასევე მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირ(ებ)ი, რომლებიც ახორციელებენ ქვეპროგრამის ფარგლებში საქონლის მიწოდებას;**
- 1.12. ხელშეკრულება** - სამინისტროს, მიმწოდებელსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეპროგრამის ფარგლებში მხარეებს შორის უფლება-მოვალეობებს;
- 1.13. თანადაფინანსება (სუბსიდია)** - სამინისტროს მხრიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემული თანადაფინანსება;
- 1.14. სანერგე მეურნეობები / იმპორტიორები** - ა(ა)იპ "სოფლის განვითარების სააგენტოს" პროგრამაში "დანერგე მომავალი" ჩართული სანერგე მეურნეობები, ან/და კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ სარგავი მასალის იმპორტს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ზოგადი ინფორმაცია ქვეპროგრამის შესახებ

ეს წესი აწესრიგებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) პროგრამის „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამის (პროგრამის განაცხადი *დანართი №1* - კლასიფიკაციის კოდი - 0706/ 070618) „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

¹ პირი, ინვოისის გაწერის პერიოდში, უნდა იყოს რეგისტრირებული ქვეყანაში მოქმედი კანონის შესაბამისად.



სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია პირველად წარმოებასთან ერთად, განვითარდეს ადგილზე წარმოებული პროდუქციის გადამამუშავების შესაძლებლობები, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ქვეპროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება განხორციელდეს ისეთი პროექტების თანადაფინანსება, რომლებსაც არ გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი მაღალმოსავლიანი, მაღალშემოსავლიანი და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზრუნველსაყოფად.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსება არის მიზნობრივი დაფინანსების მექანიზმი და იგი უზრუნველყოფს, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ფინანსური და ტექნიკური (შემდგომი ექსტენცია) დახმარების გაწევის გზით, რაც სოფლის მეურნეობის დარგში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ან/და არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესებისა და მათი კომერციული პოტენციალის ზრდისკენ იქნება მიმართული. ასევე აღნიშნული ქვეპროგრამით ხელი შეეწყობა ადგილობრივი, ინოვაციური ან/და ტექნოლოგიური პოტენციალის გაძლიერებას სოფლის მეურნეობის დარგში.

ქვეპროგრამის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროექტების თანადაფინანსებას განახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ქვეპროგრამის ბენეფიციარები შეირჩევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ ამავე წესის შესაბამისად.

2.1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამა - „070618 სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ითვალისწინებს სამინისტროს თანადაფინანსების კომპონენტს ბენეფიციარებისათვის ფინანსური დახმარების (სუბსიდია) გზით.

ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების საქმიანობის წამოწყებისთვის ან / და არსებულის გაფართოებისთვის თანადაფინანსება (სუბსიდირება) ერთეულ პროექტზე (ერთეულ საქონელზე, გარდა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბაღების გაშენების კომპონენტის ფარგლებში შესასყიდი საქონლისა



(ნერგი, წვეთოვანი მორწყვის სისტემა, აგროქსოვილი, ავზი და ა.შ.) შეადგენს **არანაკლებ - 500.00 ლარს, არაუმეტეს - 40,000.00 ლარს**, რაც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს - **80%-ია**, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა - **არანაკლებ - 20%**.

ქვეპროგრამის „070618 სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ საერთო ბიუჯეტი შეადგენს - **1,415,783.00 აღნიშნული თანხიდან:**

- ა ბენეფიციართა პროექტების თანადაფინანსების თანხა - **1,267,943.00 ლ** (დღგ-ს ჩათვლით);
- ბ ქვეპროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება (7 ადამიანი) – **147,840.00 ლ**.

2.2. მიზნები და ამოცანები

ქვეპროგრამის „070618 სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ **მიზანია** - სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გზით.

სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით, რეგიონში პირველადი წარმოების, საწარმოო პროცესების გაფართოების, დამატებითი ღირებულების შექმნის, გადამამუშავებელი, შენახვა-რეალიზაციის, კომერციული პოტენციალის გაზრდის, სიღარიბის შემცირების, დამატებითი სამუშაო ადგილებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების სტიმულირება სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის გზით.

ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ **ამოცანებს**:

- 1** სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების მხარდაჭერა;
- 2** სასოფლო-სამეურნეო სექტორის დივერსიფიკაციის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა;
- 3** მოქმედი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების გაფართოება-მოდერნიზაციის ხელშეწყობა;



- 4 სოფლის მეურნეობის დარგში რეგიონის მოსახლეობის დასაქმების გაზრდის ხელშეწყობა და შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- 5 ეკოლოგიური და ენერგოეფექტური წარმოების პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

2.3. პრიორიტეტული მიმართულებები

სამინისტროს განვითარების სტრატეგიული ხედვის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიულ პრიორიტეტული მიმართულებები, რის საფუძველზეც ქვეპროგრამის მიზნებიდან გამომდინარე განხორციელდება შესაბამისი პროექტების თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება:

1.1. მემცენარეობა:

1.1.1. მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების მოწყობა (აგროკლიმატური დარაიონების მიხედვით), არსებულის აღდგენა-განახლება:

- ნერგების შესყიდვა (ა(ა)იპ "სოფლის განვითარების სააგენტოს" პროგრამაში "დანერგე მომავალი" ჩართული სანერგე მეურნეობები, ან/და კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ სარგავი მასალის იმპორტს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);
- აგროქსოვილის (მულჩიფირის) შესყიდვა;
- სარწყავი სისტემების შესყიდვა;
- საყრდენი სისტემების (ბოძები) შესყიდვა;
- სიცხისა და სეტყვისგან დამცავი საშუალებების შესყიდვა;
- პროექტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებისათვის საჭირო შესაბამისი მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა;



– პროექტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაბამისი მოცულობის სამაცივრე დანადგარებისა და სამაცივრე მეურნეობების შესყიდვა-მოწყობა.

- 1.1.1.1. ჩაი, ციტრუსები და სხვა სუბტროპიკული კულტურები;
- 1.1.1.2. ვაზის საღვინე და სასუფრე ჯიშები;
- 1.1.1.3. კურკოვანი და თესლოვანი კულტურები;
- 1.1.1.4. კაკლოვანი კულტურები;
- 1.1.1.5. კენკროვანი კულტურები;
- 1.1.1.6. დაფნა.

მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენების (აგროკლიმატური დარაიონების მიხედვით), არსებულის აღდგენა-განახლების კომპონენტში 1 ჰა-ზე გაანგარიშებით ნერგების რაოდენობისა და თანადაფინანსების (სუბსიდი) ლიმიტები

კულტურის დასახელება	ნერგის მინიმალური რაოდენობა 1 ჰა-ზე	ნერგის მაქსიმალური რაოდენობა 1 ჰა-ზე	თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა ადგილზე შეძენილ ერთ ნერგზე (ლარში)	თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა იმპორტირებულ (აშშ/ ევროკავშირი) ერთ ნერგზე (ლარში)	თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა იმპორტირებულ (სხვა დანარჩენი მსოფლიო) ერთ ნერგზე (ლარში)
კურკოვანი კულტურები					
ქლიავი	400	660	4	5,28	4,56
ბალი	330	800	4	5,44	4,96
ალუბალი	350	800	4	3,76	3,44
ტყემალი	400	660	4	5,04	4,24
კენკროვანი კულტურები					
ქოლო	4700	8000	1,6	2,56	2
მაყვალი	2200	6600	1,6	2,88	2,48
ლურჯი მოცვი	2800	3300	5,6	7,04	6,24
სუბტროპიკული კულტურები					
ხურმა	240	330	3,2	5,84	5,2
კივი	400	625	1,6	5,36	5,04
ფეიჰოა	500	1000	1,6	4,56	4,16
ლიმონი	800	1250	2,4	4,56	4,16
ფორთოხალი	500	800	2,4	4,56	4,16
მანდარინი	625	1000	2,4	4,56	4,16



საყრდენი ზოძი	100	100
შუა ზოძი	400	550
კივი		
საყრდენი ზოძი	40	50
შუა ზოძი	400	625
ყურძენი		
საყრდენი ზოძი	100	100
შუა ზოძი	750	2500

- ქვეპროგრამა ბენეფიციარებისათვის, ასევე ითვალისწინებს მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების მოწყობის კომპონენტის მომსახურების თანადაფინანსებას.

1.2. მეცხოველეობა:

1.2.1. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა მეცხოველეობის (მეფრინველეობა, მეძროხეობა, მეცხვარეობა, მეთხეობა, მელორეობა, მებოცვრეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და ა.შ.) განვითარების მიზნით, კერძოდ:

- მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა;
- საკვებწარმოებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა;
- მეცხოველეობის ფერმების ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;
- კლიმატის შემქმნელი ენერგომატარებლების შესყიდვა (ენერჯის ალტერნატიული წყაროების დანერგვა: ბიოგაზი, მზის პანელები);
- პროექტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაბამისი მოცულობის სამაცივრე დანადგარებისა და სამაცივრე მეურნეობების შესყიდვა-მოწყობა.

1.3. სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებები



– განმცხადებლის მეურნეობისათვის შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, აგრეთვე მათი დამხმარე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები, მისაბმელები და აგრეგატები.

- ! განაცხადით წარმოდგენილ ერთგვაროვან საქონელზე (დანართი №5), შესყიდვის საბაზისო ფასი განისაზღვროს წარმოდგენილი ინვოისების (დანართი №6) მიხედვით უმცირესის ოდენობით (გარდა სამინისტროს მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა), საიდანაც სამინისტროს თანადაფინანსების ოდენობა იქნება არაუმეტეს - **80%**. აღნიშნულ შემთხვევაში არ იქნება მხედველობაში მიღებული საქონლის მოდელი, მარკა და წარმოშობის ქვეყანა;
- ! ნიადაგდამამუშავებელი მცირეგაბარიტისა და სიმძლავრის მქონე ტრაქტორების (სახნავი/ სათიბი მოტოკულტივატორი, მოტობლოკი), ბალის მობილური შემასხურებელი აპარატის (შემასხურებელი მანქანა) მიმართულებით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, განმცხადებელს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში (იჯარა) უნდა გააჩნდეს არანაკლებ **0,25 ჰა** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამონაწილეობის თანხა, ერთეულ საქონელზე შეადგენს ღირებულების **80 %-ს**, მაგრამ არაუმეტეს **950.0 ლარს**;
- ! განმცხადებელს, განაცხადის წარმოდგენის ეტაპზე თხილის სარჩევის, საკრეფისა და სატეხი დანადგარის მიმართულებით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში (იჯარა) უნდა გააჩნდეს არანაკლებ **0,5 ჰა** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სადაც გაშენებულია თხილის ბაღი.

3. ქვეპროგრამის ბენეფიციარები

ქვეპროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს:

1. ფიზიკური პირ(ებ)ი - საქართველოს მოქალაქე (სრულწლოვანი - 18 წელს მიღწეული), მათ შორის საოჯახო მეურნეობ(ებ)ის სუბიექტები.
2. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები.



3.1. ქვეპროგრამაში მონაწილეობა

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ საოჯახო მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები, რომლებიც ფინანსური რესურსების სიმწირისა და უკუგების შედარებით ხანგრძლივი პერიოდის გამო, მოკლებული არიან შესაძლებლობებს გააფართოვონ და განავითარონ არსებული, ან წამოიწყონ ახალი საქმიანობა.

ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირ(ებ)ს საკუთრებაში/ თანასაკუთრებაში უნდა გააჩნდეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ი, ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული პირობების შესაბამისად სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, რომლის სარგებლობის დარჩენილი ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ - **10 წელს** (სარგებლობის უფლება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში).

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს:

- ≠ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს;
- ≠ მოქალაქეობის არმქონე პირ(ებ)ს;
- ≠ პოლიტიკურ პარტიებს;
- ≠ რელიგიურ ორგანიზაციებს;
- ≠ საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებს (ბანკი; მიკროსაფინანსო, ლომბარდი და ა.შ.);
- ≠ იურიდიულ პირებს, გარდა წინამდებარე წესით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა;
- ≠ ორგანიზაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც სოციალური, რასობრივი, ეროვნული, ენობრივი, სქესობრივი კუთვნილების, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვაგვარი მდგომარეობის საფუძველზე ახდენენ ფიზიკური და იურიდიული პირ(ებ)ის დისკრიმინაციას;
- ≠ ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს ისეთი იურიდიული პირი, რომელშიც პირდაპირ ან ირიბად სახელმწიფო ფლობს წილს, პაის და ა.შ.



! ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით განმცხადებელს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენა (ერთი პრიორიტეტული მიმართულებით);

! პროექტის მიზნებისათვის გათვალისწინებულ ქონებაზე არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა.

3.2. ქვეპროგრამის ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები

სოფლის მეურნეობის დარგის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ქვეპროგრამის ფარგლებში თანადაფინანსდება პროექტები, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გადამუშავების სფეროში სიახლეების შექმნა, ან/და არსებულის გადართობა (დახვეწა ან/და გაუმჯობესება), რასაც შედეგად მოჰყვება შიდა და გარე ბაზრებისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ზრდა.

ქვეპროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრებში არსებული ტერიტორია, გარდა ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიისა, რომელიც განსაზღვრული იყო თვითმმართველი ქალაქ-ბათუმის საკრებულოს 2011 წლი 05 აპრილის №64 განკარგულებამდე.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსება არ გავრცელდება:

- ა უძრავი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობი), შენობა-ნაგებობის, კონსტრუქციების, სამშენებლო მასალების, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;
- ბ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
- გ საწარმოში წილის შესყიდვა;
- დ კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა (მაგ. კომერციულ ბანკებთან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან, სადაზღვევო კომპანიებთან და ა.შ.);
- ე პროექტით გათვალისწინებული სხვა საოპერაციო ხარჯების დაფარვა (კომუნალური მომსახურება, ნედლეულის შექმნა, შრომის ანაზღაურება, კრედიტის პროცენტი, მარკეტინგი, რეკლამა, გამოკვლევა, სალიზინგო და სარენტო, წარმომადგენლობითი ხარჯები და ა.შ.);



- ვ საბრუნავი საშუალებები (ყველა სახის ნედლეული, სასაქონლო მატერიალური მარაგები, ზოოვეტერინალური მედიკამენტები, თესლი, მინერალური და ორგანული სასუქები, შხამქიმიკატები და ა.შ.);
- ზ ლობის (ბოძები, მავთული, ეკალ-მავთული, მავთულის ბადე, ელექტროლოზე და ა.შ.) შესყიდვა-მოწყობა;
- თ ხარჯები, რომელიც არ შეესაბამება პროექტის მიზნებსა და ამოცანებს;
- ო სხვა ნებისმიერი ხარჯი, რომელიც ვერ დადასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (ელექტრონული სასაქონლო ზედნადები, საბანკო ანგარიშსწორების შემთხვევაში - საგადახდო დავალება და ა.შ.);
- კ ცოცხალი ცხოველის შესყიდვა (მათ შორის ფრინველის, ფუტკრის, თევზის, ყველა სახის წყალ-ხმელეთის ძუძუმწოვარი ცხოველების, საინკუბაციო კვერცხის, განაყოფიერებული ქვირითის და სხვა);
- ლ სასათბურე მეურნეობის მოწყობა, განახლება, აღჭურვა.

განმცხადებლის თანამონაწილეობად შეიძლება ჩაითვალოს:

! განმცხადებლის თანამონაწილეობა სასესხო ვალდებულებით (კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიები) მხოლოდ პროექტის მიზნებისთვის.

განმცხადებლის თანამონაწილეობა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით - მხოლოდ პროექტის მიზნებისთვის, ამასთან ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტივობა განხორციელებული უნდა იყოს წესის 1.12. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ!

თანადაფინანსების დამატებითი პირობები:

- !** განმცხადებლის თანადაფინანსება შესაძლებელია ჩაითვალოს დადასტურებული წყაროდან მიღებული ფინანსური რესურსი;
- !** სამინისტროს ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით განმცხადებელმა დამტკიცებული ფორმების შესაბამისად (დანართი №2, 2.1.) უნდა წარადგინოს განაცხადი თანდართულ დოკუმენტაციებთან ერთად.



ქვეპროგრამის განაცხადი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- ! ქვეპროგრამით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ მიმართულებებთან შესაბამისობა;
- ! განაცხადში არსებული იდეის დასაბუთება (მიზანი, ამოცანები);
- ! პროექტის მდგრადობა;
- ! ბიომეურნეობა (ორგანული, ეკოლოგიური) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამამუშავება და რეალიზაცია;
- ! ინოვაციურობა;
- ! გამართული სამოქმედო გეგმა;
- ! ბიუჯეტის დასაბუთება;
- ! თანადაფინანსების დასაბუთება;
- ! განმახორციელებელის კომპეტენცია, გამოცდილება და მოტივაცია;
- ! განაცხადის ტექნიკური გამართულობა;
- ! მომიჯნავედ არსებული ან/და რამდენიმე საოჯახო მეურნეობების ერთიანი პროექტის წარმოდგენა;
- ! სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები;
- ! შესაძლო რისკების ანალიზი, მათი მინიმიზაციისა და მართვის ღონისძიებები;
- ! ქვეპროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების შეუსაბამობის შემთხვევაში განმცხადებელი ავტომატურად ვერ გადავა შემდეგ ეტაპზე.

3.3. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ქვეპროგრამაში მონაწილეობის/ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით/ ეტაპზე განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განაცხადი;
2. განმცხადებლისა და პროექტის მონაწილეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლ(ებ)ი;



3. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ა(ა)იპ-ს შემთხვევაში);
4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემთხვევაში წესდება და კრების ოქმი ქვეპროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით; ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) შემთხვევაში ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ;
5. მიწის ნაკვეთის საკუთრების/ იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან), იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება;
6. თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, ერთ-ერთი თანამესაკუთრე წარადგენს სხვა თანამესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას ან/და თანხმობას ან/და ყველა თანამესაკუთრის მიერ ხელმოწერილ თანხმობის დოკუმენტს, რომლის შინაარსისა და ხელმოწერების ნამდვილობაზეც პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტის წარმომდგენი;
7. უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული შესასყიდი საქონლის (სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში) საბაზრო ფასებთან შესაბამისობის/ ადეკვატურობის დადებითი დასკვნა *(ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე)*;
8. სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა წარმოდგენის საჭიროებასაც განსაზღვრავს სამინისტრო.

! განაცხადის თანმდევი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი არ განიხილება.

4. ქვეპროგრამის განხორციელების პროცედურები

სამინისტროს ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით, რომლის შესწავლისა და პროექტის განხორციელების ადგილზე მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, განხორცილდება პროექტის შეფასება და პირველადი გადარჩევა.

განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის, ქვეპროგრამისა და ამავე წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესწავლისა და პროექტის განხორციელების



ადგილზე მონიტორინგის უფლებამოსილებას განხორციელებს პროგრამების მართვის დეპარტამენტში და ქვეპროგრამის ფარგლებში ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირ(ებ)ი. კონკრეტული პირ(ებ)ის განსაზღვრის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს მინისტრს პროგრამების მართვის დეპარტამენტი.

4.1. ქვეპროგრამის განხორციელების ეტაპები

ქვეპროგრამის განხორციელების ეტაპები:

- ≡ ქვეპროგრამის განხორციელების წესის შემუშავება/ დამტკიცება;
- ≡ შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება;
- ≡ ქვეპროგრამის პროცედურებთან დაკავშირებული საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება;
- ≡ ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის ფორმირება;
- ≡ განაცხადის მიღება;
- ≡ განაცხადის ბაზების ფორმირება;
- ≡ განაცხადის შესაბამისობის შესწავლა, პროექტის განხორციელების ადგილზე მონიტორინგი, შეფასება და პირველადი გადარჩევა;
- ≡ ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ ბენეფიციართა შერჩევა/ დამტკიცება;
- ≡ განმცხადებლებზე შესაბამისი შეტყობინებების გაგზავნა;
- ≡ ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
- ≡ ხელშეკრულების გაფორმება;
- ≡ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
- ≡ ბენეფიციართა ტექნიკური მხარდაჭერა (ექსტენცია);
- ≡ ქვეპროგრამის შედეგებზე პერიოდული მონიტორინგი.

ქვეპროგრამა განხორციელდება შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მიხედვით (დანართი №3), რომელიც შესაძლებელია დაკორექტირდეს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.



4.1.1. ქვეპროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება

სამინისტრო ქვეპროგრამის შესახებ აწარმოებს საინფორმაციო კამპანიას:

- ქვეპროგრამის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება (პრეზენტაცია, საინფორმაციო SMS-ების გაგზავნა, პოლიგრაფია, პრომო-პროდუქტების ბრენდირება - კონვერტები, კალმები, მუყაოსა და ნაჭრის ბრენდირებული ჩანთები, სამკერდე ნიშნები, ფლაერები, ბანერები, სტიკერები, გარე რეკლამა, რეკლამა მედია საშუალებებში, 3D დიზაინი, ანიმაცია, ვიდეორგოლების დამზადება, მაისურები, კეპები და სხვა სახის პრომო ატრიბუტიკა);
- საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის შედგენა);
- საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენლებთან;
- საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან სამიზნე ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა მედია საშუალებებით (სოციალური და ბეჭდვითი მედია).

საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდება ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში. საინფორმაციო კამპანიის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება სამიზნე ჯგუფებამდე, ქვეპროგრამის მიზნების და მასში ჩართვის პირობების შესახებ.

4.1.2. ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველთა განაცხადების მიღება

ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით დაინტერესებული პირები განაცხადებს ავსებენ დადგენილი ფორმის შესაბამისად და ამავე წესით განსაზღვრულ თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ სამინისტროში.

ცალკეული განაცხადის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სამინისტროს მიერ მოხდეს დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა. დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია განხორციელდეს განაცხადის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზეც.

განაცხადების რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს პროგრამების მართვის დეპარტამენტი.



4.1.3. ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის ფორმირება

- ≡ ქვეპროგრამის ბენეფიციართა შერჩევას/ დამტკიცებას განახორციელებს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია. კომისიის მიერ შერჩეულ ბენეფიციართა შესახებ ინფორმაცია წარედგინება მინისტრს;
- ≡ კომისიის შემადგენლობას, სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს პროგრამების მართვის დეპარტამენტი;
- ≡ კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ≡ კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი;
- ≡ კომისიის საპროცედურო საკითხებს მართავს კომისიის მდივანი;
- ≡ კომისიის წევრის განსხვავებული აზრი ფიქსირდება სხდომის ოქმში;
- ≡ კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება, კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის პრინციპის დაცვით. კენჭისყრის დროს ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, გამამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმას;
- ≡ კომისიის სრული დოკუმენტაცია შერჩევის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ, გადაეცემა დეპარტამენტს.

4.1.4. საპროექტო განაცხადის პირველადი შეფასება

განაცხადების შესაბამისობას ამავე წესის მოთხოვნებთან და პროექტის განხორციელების ადგილზე მონიტორინგის უფლებამოსილებას განახორციელებს პროგრამების მართვის დეპარტამენტში და ქვეპროგრამის ფარგლებში ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირ(ებ)ი. კონკრეტული პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას მინისტრს წარუდგენს პროგრამების მართვის დეპარტამენტი.

4.1.4.1. საპროექტო განაცხადების შესაბამისობა წესის მოთხოვნებთან

განაცხადი, ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და აუცილებელ კრიტერიუმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში არ განიხილება.



4.1.4.2. მონიტორინგი პროექტის განხორციელების ადგილზე

უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ პროექტით განსაზღვრულ საქმიანობის ადგილზე განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე, დგინდება განაცხადში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა და დადგენილი ფორმის (დანართი №4) მიხედვით ენიჭება შეფასების ქულა (დანართი №4.1.).

4.1.5. ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ საპროექტო განაცხადების განხილვა

ბენეფიციართა შერჩევის/ დამტკიცების პროცედურები:



ბენეფიციართა შესარჩევი კომისია წარმოდგენილი განაცხადების, თანდართული დოკუმენტების, მონიტორინგის შედეგების, ამავე წესით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და საჭიროების შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით ახდენს პოტენციურ ბენეფიციართა ერთიანი სიის ფორმირებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში კომისიის წევრი ვალდებულია დაუყონებლივ განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე. შესაბამისად, კომისიის წევრს საკითხის განხილვაში მონაწილეობა უწყდება.

ბენეფიციართა შესარჩევი კომისია უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მოხსნას განაცხადი განხილვიდან.

ბენეფიციართა შესარჩევი კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში სხდომა ინიშნება სხვა დროს.

ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის წევრები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურობა.



ბენეფიციართა შერჩევა/დამტკიცება

- 3** **გადაწყვეტილების მიღება** - მოიცავს კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებისა და მონიტორინგის შედეგად მიღებული ქულათა ჯამის მიხედვით პოტენციურ ბენეფიციართა ერთიანი სიის ფორმირებას.

ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ სიის ფორმირებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს, განაცხადთა შეფასების თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში რიგითობას კომისია განსაზღვრავს ცალკეულ განაცხადებთან მიმართებაში კენჭისყრის გზით, ხმათა უმრავლესობით.

ქვეპროგრამის ბენეფიციართა შერჩევას/ დამტკიცებას განახორციელებს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია.

4.1.6. ბენეფიციართა ერთიანი სიის გასაჩივრება

ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.1.7. ხელშეკრულებების გაფორმება

ბენეფიციართა დამტკიცებული ერთიანი სიის რიგითობის მიხედვით, ქვეპროგრამის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსის ფარგლებში, თითოეულ ბენეფიციარს, მიმწოდებელსა/ მიმწოდებლებსა და სამინისტროს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

ხელშეკრულებების გაფორმების ადმინისტრირებასა და შესაბამისი რეესტრის წარმოებას ახორციელებს პროგრამების მართვის დეპარტამენტი.

ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება ფორმდება ბენეფიციართა ერთიანი სიის მომდევნო, იგივე ან დაბალბიუჯეტის პროექტის თანადაფინანსებაზე.

ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე, განაცხადით განსაზღვრული ქვეპროგრამით გათვალისწინებული **თანადაფინანსების მოცულობის ზრდა დაუშვებელია.**

ბენეფიციარი ვალდებულია ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებული საქონელი/ მომსახურება გამოიყენოს მხოლოდ პროექტის მიზნობრივობით. აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში, განიხილება ხელშეკრულების შეწყვეტის



საკითხი. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

ბენეფიციარი ვალდებულია, პროექტის განხორციელების პროცესში, ხელი შეუწყოს სამინისტროს უფლებამოსილ პირს პროექტის განხორციელების მიმდინარეობაზე **მონიტორინგის/ კონტროლის** პროცესში და მიაწოდოს სრული ინფორმაცია. აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში, განიხილება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

პროექტის ეტაპებით განსაზღვრული **ვალდებულებების დროული შეუსრულებლობით** საბიუჯეტო წელს გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში თანადაფინანსების (სუბსიდია) პროცედურების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი განხილვისა და დასაბუთების საფუძველზე, მიღებულ იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

1. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების გზით ვალდებულებათა შესრულების ვადების კორექტირება;
2. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების გზით ვალდებულებათა შესრულების ვადების კორექტირება და თანადაფინანსების პროცედურების გათვალისწინება მომდევნო წლის შესაბამისი ქვეპროგრამით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში (შესაბამისი ქვეპროგრამის არსებობის შემთხვევაში);
3. შესაბამისი შეთანხმების გაფორმების გზით, საანგარიშწორებო თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას) საფუძველზე საავანსო ანგარიშსწორების თაობაზე;
4. ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი (პროექტის დასრულების შესაძლებლობის დაბალი სანდოობის ან სანდოობის არ არსებობის შემთხვევაში). ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

მიმწოდებელთან ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსების ფარგლებში უნაღლო ანგარიშსწორება განხორციელდება **პროექტის/ კომპონენტის სრულად განხორციელების** შემდგომ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ პროექტი მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომელთა



სიცოცხლის უნარიანობა ურთიერთდამოუკიდებელია, მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს დასრულებული კომპონენტების შესაბამისად.

პროექტის განხორციელების პროცესში ბენეფიციარის მხრიდან პროექტის გაგრძელებაზე უარის თქმის შემთხვევაში, განიხილება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

პროექტის განხორციელების პროცესში, ფაქტობრივი გარემოებების ცვლილების შედეგად, ბენეფიციარის მიერ ვალდებულებათა შესრულების შეუძლებლობის (რესურსებზე ხელმისაწვდომობის არ არსებობა/შეზღუდვა) შემთხვევაში, განიხილება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

ბენეფიციარის შრომისუნარობის ან გარდაცვალების შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე გადავა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირ(ებ)ზე მისი თანხმობის შემთხვევაში, ხოლო უარის შემთხვევაში განიხილება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. ამასთან ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

პროექტის განხორციელების ეტაპზე, შესასყიდი საქონლის/ მომსახურების ფასების ზრდის შემთხვევაში, სამინისტროს არ წარმოეშობა თანადაფინანსების თანხის გაზრდის ვალდებულება.

პროექტის განხორციელების ეტაპზე მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი/ მიწოდებული საქონლის/ მომსახურების ფასის შემცირების შემთხვევაში, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხა შემცირდება ფაქტობრივი ღირებულების შესაბამისად.

4.1.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს, პროგრამების მართვის დეპარტამენტში და ქვეპროგრამის ფარგლებში ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირ(ებ)ი.



კონკრეტული პირ(ებ)ის განსაზღვრის შესახებ ინფორმაციას მინისტრს წარუდგენს პროგრამების მართვის დეპარტამენტი.

4.1.8.1. საქონლის/ მომსახურების მიწოდება

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/ მომსახურების (მომსახურება აქ და სხვა შემთხვევებში გულისხმობს, მხოლოდ მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების მოწყობის კომპონენტს) მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.1.8.2. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება (სუბსიდირება)

ანგარიშსწორება თანადაფინანსების მიზნით განხორციელდება ბენეფიციარისა და მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე, სამინისტროს უფლებამოსილი პირ(ებ)ის, მიმწოდებლისა და ბენეფიციარის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას მინისტრს წარუდგენს პროგრამების მართვის დეპარტამენტი.

ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით, პირველ რიგში გამოიყენება ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხა, ხოლო შემდეგ „ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული თანადაფინანსების (სუბსიდია) თანხა.

ანგარიშსწორება თანადაფინანსების მიზნით განხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიმწოდებელთან.

5. ანგარიშგება

პროგრამების მართვის დეპარტამენტი ქვეპროგრამის შედეგებზე ანგარიშს წარუდგენს სამინისტროს ხელმძღვანელობას. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შედეგების შესახებ.



6. ქვეპროგრამის ბენეფიციართა ტექნიკური მხარდაჭერა (ექსტენცია)

ქვეპროგრამების ბენეფიციარებისა და განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, აგრარული განვითარების დეპარტამენტი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, უზრუნველყოფს ბენეფიციართა ექსტენციას საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდების გზით, რაზედაც რეგულარულად მომზადდება შესაბამისი ანგარიშები.

7. ქვეპროგრამის შედეგებზე პერიოდული მონიტორინგი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგს, შედეგების შეფასებას და პროცესების გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას განხორციელებს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი.

8. დანართები